შ.პ.ს „სატისი“-ის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობეის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით 2016 წლის 11 იანვარს დაფუძნდა სოფლის წყალმომარაგების კომპანია შპს „სატისი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 100% ფლობით. კომპანიის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენს 484600 ლარს. 2019 წელის I კვარტალში დაბა ნასაკირალში შეიცვალა ტუმბო, IV კვარტლის ბოლოს განხორციელდა ნატანების მე-17-ე ბრიგადაში არსებული სათავე ნაგებობის სრული რეაბილიტაცია, მოეწყო სანიტარული ზონა საერთო ღირებულებით 47539 ლარი.

2019 წლის დეკემბერში კომპანიის მიმართვის საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ შემუშავებულია რეკომენდაციები წყალმომარაგების ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

ტექნიკური სამსახურის მიერ კომპანიის ბალანსზე რიცხულ წყალმომარაგების ქსელზე აღმოფხვრილი იქნა 250 დაზიანება, ასევე სოფ. ბახვში 32 დაზიანება, სოფ. ლიხაურში 38 დაზიანება და ანასეულის დასახლებაში 27 დაზიანება.

კომპანიის ლაბორატორიის მიერ ჩატარდა როგორც სათავე ნაგებობაზე ასევე გამანაწილებელ ქსელში წყლის ხარისხის კვლევა 166 ანალიზი.

შემოსავლების სამსახურის მიერ მიმდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული სოფლების ბილინგის ბაზის რეგულარული განახლება.

2019 წელს კომპანიის მიერ შესყიდული იქნა მარაგი მასალები საერთო თანხით 45955 ლარი, შეძენილი მომსახურეობის თანხამ შეადგინა 56746 ლარი.

ძირითადი აქტივები შეადგინს 3682548 ლარს.

დღეის მდგომარეობით სოფ. ლაითურში მგფ მხარდაჭერით მიმდინარეობს წყალსადენის სისტემების სრული რეაბილიტაცია, ექსპლატაციაში შესვლის სავარაუდო ვადა 2020 წლის გაზაფხული, პროექტი ითვალისწინებს 950 ოჯახის 24 საათიან წყალმომარაგებას.